

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის

ოქმი №1

ქ.ვანი. თავისუფლების ქ.№65

14 იანვარი 2020 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, ტარიელ ბარამიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, გელა ჩიკვაძე, ვლადიმერ ჭვალაძე.(დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ :რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა მაგნიძე, ეთერ ჭიჭინაძე, გელა ღვიტიძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი-**კობა მაღლაკელიძე**.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე**.

მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი -**ივანე მამფორია**.

სხდომა 14-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე

ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2020 წლის 14 იანვრის ბიუროს სხდომის

დღის წესრიგი

1.,„ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: ივანე მამფორია

2.,„ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: გელა ჩიკვაძე

3.,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: გიგა გოგიბერიძე

4.,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: ტარიელ ბარამიძე

5.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: რამაზ არველაძე

6.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: კობა ტოხვაძე

7.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: გიორგი ივანიაძე

8.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ანგარიში 2019 წლის პერიოდში საკრებულოს აპარატში არსებული მდგომარეობა და გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: კობა მაღლაკელიძე

9. სხვადასხვა

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2020 წლის 14 იანვრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილების საჭიროება განპირობებულია საქართველოს მთავრობის N2751-31.12.2019, N2752-31.12.2019 განკარგულებებით გამოყოფილი თანხებისა და სახაზინო ანგარიშზე 01.01.2020 მდგომარეობით არსებული ნაშთების ბიუჯეტში ასახვით.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 დეკემბრის N2630 განკარგულებაში „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ 2019 წლის 31 დეკემბერს N2751 განკარგულებით განხორციელდა, რის შედეგადაც გამოყოფილი თანხა გაიზარდა 597,5 ათასი ლარით და ჩამოყალიბდა 3509,4 ათასი ლარის რედაქციით. თანხა გამოიყო ზედავანი-ტყელვანის გზის რეაბილიტაციის მიზნით.

2019 წლის 31 დეკემბრის N2752 განკარგულებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტს გამოეყო 570,0 ათასი ლარი.

2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშებზე ნაშთის სახით ირიცხება 1324,2 ათასი ლარი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2020 წლის 15 იანვრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ მომხსენებელმა მოკლედ ისაუბრა სამუშაო გეგმის შესახებ:

საკრებულოს სამართლებრივ და ნორმატულ აქტებში ცვლილებების შეტანა, გეოგრაფიული ობიექტების და ქუჩების სახელდება, გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცება, ავტომანქანების პარკირების წესის დადგენა, სასფლაოების მოვლა- პატრონობის წესის დამტკიცება, 2021 წლის ბიუჯეტის განხილვა და სხვა მოსასმენი და განსახილველი საკითხები.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება დამტკიცდეს „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმა.“

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ (გიგა გოგიბერიძის საპატიო მიზეზით არყოფნის გამო წარმოადგინა) „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა მოკლედ ისაუბრა სამუშაო გეგმის შესახებ.

2020 წლის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება, ქონების მართვის სამსახურის ანგარიშის მოსმენა, 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ, 2020 წელში სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების განხილვა, 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა, „სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის“ მიმდინარე ანგარიშის მოსმენა, „ზედამხედველობის სამსახურის“ მიმდინარე ანგარიშის მოსმენა და სხვა საკითხები.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება დამტკიცდეს „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმა.“

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ტარიელ ბარამიძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა მოკლედ ისაუბრა სამუშაო გეგმის შესახებ.

2020 წლის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება, ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების ანგარიშის მოსმენა 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების თაობაზე, ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა, 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილებების განხილვა, 2020 წლის ბიუჯეტის კვარტლური შესრულების ანგარიშის მოსმენა და სხვა საკითხები.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება დამტკიცდეს „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმა.“

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ (რამაზ არველაძის საპატიო მიზეზით არყოფნის გამო) წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა მოკლედ ისაუბრა სამუშაო გეგმის შესახებ.

კომისიის სამუშაო გეგმის განხილვა დამტკიცება, 2020 წლის სოციალური პროგრამების განხილვა, მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის 2019 წლის ანგარიშის მოსმენა, ა (ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის ანგარიში 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ და სხვა საკითხები.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება დამტკიცდეს „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმა.“

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კობა ტოხვაძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.“

მომხსენებელმა მოკლედ ისაუბრა სამუშაო გეგმის შესახებ.

კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის განხილვა, მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ანგარიში 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ, საფეხბურთო კლუბ „სულორი ვანის“ და სარაგბო კლუბ „აიეტის“ დირექტორების ანგარიში 2109 წელში გაწეული მუშაობის შესახებ, „საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ სასწავლო წლის შეჯამების შესახებ ინფორმაციის მოსმენა და სხვა საკითხები.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება დამტკიცდეს „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმა.“

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;“

მომხსენებელმა მოკლედ ისაუბრა პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

საკრებულოს მიერ მიღებულ ზოგიერთ სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის შესახებ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ, 2020 წელში „სოფლის მხარდამჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი განხილვა დამტკიცების შესახებ და სხვა განსახილველი საკითხები.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება დამტკიცდეს „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმა.“

დღის წესრიგით წარმოდგენილ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა კობა მაღლაკელიძემ წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ანგარიში 2019 წლის პერიოდში საკრებულოს აპარატში არსებული მდგომარეობისა და გაწეული მუშაობის შესახებ.

წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. მიღებულ იქნა ცნობის სახით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ანგარიში 2019 წლის პერიოდში საკრებულოს აპარატში არსებული მდგომარეობისა და გაწეული მუშაობის შესახებ.

ამით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე